

5
1887

N 627 = 1526

12/11/11
05/05/2010
N 5

თ ე ბ ტ რ ი

საქოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელს

No 6 და 7

თემატიკის 15.

გაცემი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნებ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 პ.
ხ ე ლ ი ს მოწერა მიმღება: თბილისში რედაქტ. კინკორაში, ფოთში
ბეჭარ. გალანტადებით. აღრეხსი გარე შე მცხოვრებია: თიფ-
ლის, ვხ რედაქციი გაცემი „TEATRЪ.“ გაზირი ისე დება: თბი-
ლისში ჩარცისანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის უკრთა: ალიხანოვის პავილი-
ზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-
მაჟერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარემონ-
ტრია იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოიხსნებს წერილებს რედაქციის შეა-
სწორებას. რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მით
უქახება მიწერ-მოწერას.

უკვედ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცოვრებელი აღილი დაწერილა.

„თებერის“ მეოთხე ნუმერში იურ დაბეჭდილი,
რომ ამ ცოტას ხახმი აკაკის იუბილეის გამზოვას
აპირობენ... ქსლა ნამდვილად ვიცით, რომ ეს ფრი-
ად ხანუკარი საქმე მაისამდის არ მოხერხდება.

ცხოვრების დღწერა.

(გიორგიავი)

აკაკი წერეთელი დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელს საჩხე-
რეში, 1841 წლას, თბილის 9-ს. ხეთ წლამდე იზდებოდა
ბისასთან სოფ. საქანეს. მის საზოგადოებას შეადგენდნენ სოფ-
ლის პატარა მწევა — ბიჭები და ისიც არ კრებოდა მათში. მერე
მოიუგანეს სასახლეში დედ-მამასთან. ღეღა აკაკისა იურ ქსლა

დიდი ივანე ახაშიძისა, ომედიც ახალ ციხეში მოკლეს თეოფილეს
ქცის დროს. გურიის მთავრის მიმა გურიელის დის-წული და
დარეჯან ბატონიშვილის შვილის-შვილი, ოთვირც სასახლეში
სამუხტი და გამოზდილი ქალი ერთ შესანიშნავ ქალთაგანი იყო
იმ დროში და ოვითონ იტვირთა თავისი პატარა შვილის აქავის
აზურდა. აქავის ჯერ ბერად ამზადებდნენ; თოხი წლის განმავ-
დობაში საღმრთო წერილი დასრულდებინეს. აქავის ბერობა აუცი-
ლებელი იყო, ოობ ერთს უბრალო შემთხვევას სხვა გვარებ არ
გადამწევიტა მისი ბედი: ერთხელ ბლის სითვანს ჩამოვარდა და ისე
ძრიელ იღრმო ფეხი, ოობ მუხლს კედარ მართავდა და მამამ ჭუ-
თასში წაიყვანა საექიმოდ.

მამა აქავისა, თავადი რასტომ წერეთველი, „თავად-აზნაურო-
ნის გასახელე კრებაში“ დეპუტატი იყო ამორჩეული, და თოთქ-
მის უკველ დღე დაღიოდა სამსახურში. შვილი ოობ მარტი არ
დარჩენილიყო სახლში, სკოლაში კიზანიდა სოლმე დროებით.
აქ, აქავიმ ნიჭი გამოიჩინა. მასწავლებლებმა უურადღება მაქციეს და
ურჩიეს იმის მამას, ოობ სასწავლებლითოგან ადამ გაუქანა. მამას
მოეწონა ეს რჩევა და 1851 წელს მიაბარა ქუთაისის სასწავლე-
ბლები. შვიდი წლის შემდეგ გამოვიდა გემნაზიითვან და
გაგზავნეს რუსეთს, ოობ შესულიყო ბადრაგად (კონკრიტი),
სადაც იმის უფროსად მმა მსახურობდა.

აქავი მივიდა შეტერზების და სამსახურის მაგიერ უნივერსიტეტ-
ში შევიდა. 1862 წელს გამოვიდა უნივერსიტეტიდგან და შეუდ-
გა საზოგადო სამსახურს.

ლექსების წერა დაიწურ გემნაზიაშივე. შირველი ლექსი „გან-
დელ“ დაწერა ცმეტის წლისამ. აი ის ლექსი:

„განდელშინდი ჩემო კანდელო
,,მინათლე ბეჭი დამისა.
,,განდელშინდი—ადგან დაგონხა
,,სინათლე მცირე ქამისა.

—
„ჩემი სიცოცხლეც შენსავით
,,იწვის და თანდითხ სდნება,

,, ମାର୍କେଟ୍‌ରୁଣ୍ଡର ଏଲାଇସ ମାର୍କେଟ୍‌ରୁ
,, ମାର୍କେଟ୍‌ରୁଣ୍ଡର — ମିନାନ୍ତେଃ.

,,ମାତ୍ର ଶ୍ରୀ କୁମାର ସିନ୍ଧୁରାଜକ୍ଷେତ୍ରେ
,,କେନ୍ଦ୍ରାଳ୍ ପଥରିଲେବୁଣ୍ଡ କ୍ଷେତ୍ରରେ,
,,ଲ୍ଲୁଗ୍ରାମ ଲ୍ଲୋ ମାନିବୁ ମାନିବୁ,
,,ରାମ ଲ୍ଲୋର ପାତ୍ରାରୀ କ୍ଷେତ୍ରରେ ।“

ამავე წელში დაუწერია სცენები „ბატონ-ყმობა“, რომელიც
იმ დროში სელიდგნ სელში თურმე გადაღიოდნენ, მაგრამ კი არ
დაბეჭდილა. შინაარსი ამ სცენებისა მებარონებისათვის ძლიერ
საწყენი ყოფილა მაგრამ ლექსი ისე თხუნჯურიდ იურ დაწერილი,
რომ უკეთანი სიმოღნებით კითხულობდნენ. ამ ლექსებს მოწყვა
სხვა მრავალი წერილი ლექსები. ზოგი მათგანი დაბეჭდილიც იურ,
მაგრამ ასალ-გაზდა აკტორი თავის სახელს არ აცნოდნა. აკვის
სახელით პირებულ დაიბეჭდა, „საიდუმლო ბარათი“, რომელსაც სადა-
სი აღტაცებაში მოწყვენდა და შემდეგ სასახლეს ლექსად გარდაიცვა..

აკაგი ამ ოცდა ათი წლის განმაჟვლობაში ბეჭითად ადგია ქრის-
ტიულ ანხეულ გზას და არც ერთხელ არ გადასვია მას, თუმცა ბეჭით
გადასვებას და სელის შექმნებით გარემოება გადაღლისა წინ.
აკაგის საზოგადო მოღვაწეობა მარტო მწერლობით არ და-
ფინანსდება: იმ დღიდგან აქამდე არც ერთი საზოგადო საქმე არ
უთვისდა ჩენის ცენვებისაში, რომ უურადღებოდ დაეგდოს. რო-
გორც სიტყვით, ისე საქმით ერთი თავ განწირებ მოღვაწეობა-
ძნია.

გვერდი 10 თებერვალი 1920 წელს მოხდა ასეთი მოვლა საქართველოში არავის არ გვევინა და ესლა ეს სასელი გახშირებულია იმერეთში — განსაკუთრებით დაბალ საჭირო.

აგარები ხალხს მიაჩნია ერთ უკეთეს მჯერ—მეტყველად და არც
ერთ მის სათვალს უუწოდდებოდ არ უშებეს...

სამწუხაროა, რომ ნაწერები ასეთი საყვალელი შოკტის აქა — იქ გაფარტულია და აქმდე არ გამოცემულია ცალკე წიგნებად.

ପ୍ରକାଶନକୁ ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧୀ ଉପରେ

(Տպագութեա.)

(გამოსახულება).

— Պո, ռո, լցուն թռեմայք պարտ! Ըստու թու տերա միան, հռաջեսաւ մը կրծքէ ազգը; Եռա առ սչավրութ հռա նորու յուրիդիկութիւնը առ գագագույցը? Մը թյառնա հռա տյայն և հռաջութիւնը ունեցա իշխանութեան գալասակլութա.

— შორწილში... სიტყვა ვეღარ გავათავე... რა ნება მქონ-
და მე საყველურისა? მაგრამ გულმა ვერ მომითმინა და მაინც
დაუშატე: რათ მიეცით ტაბ—ძეს ნინო?

— ნულარ მკითხავი, მამი-თქვენის საფლავის მზეს...

მწუხარებით საესე ხმით გამაწყვეტინა ზრიგოლმა და
საქართველოს შინ შემიწვია: დარეჯანი ნახეთ, საწყალი ავად არის.

გრძელი და ვიწრო სასტუმრო უშმარაძინთი საღლე-
სასწაულოდ იყო მორთული, ოთახის ბოლოში განელებული
ბუხრის წინ იჯდა შალებში გახვეული, ორად მოკუნტული
თავადის გრიგოლის მეუღლე დარეჯანი.

მე მინდოდა იმისთვის მიმელოცნა ქალის გაბეღძნიერება,
მაგრამ ენა სასას მიყკრა, ხმა სიტყვებს არ დაწებდა; მე მხო-
ლოდ ხელი მაგრა ჩამოვართვი და მილოცვის მაგივრად მწუ-
ხარებით კუთხარ: ნინო, საბრალო ნინო, ვის მიეცით, ვის,
ოქენი ნინო?

— Յու Յովելո մը նոնա, յօն? մջամաց մուսական գա-
հյանքան. մը մաց կոտեցած ցածրոց հիմ տաց ացր որո կը ունա-
դա ձևակես զբությունն... նոնամ տաց ցանչուն գումարա դյու-մամո-
սատցուն... նոնամ դյու-մամա ձասենա սօմմունու սոյցունուս-
ցան... մռատշմուն ցուլու կը ունեսու դարեյան. մաղրամ ցա ամ
ձասենաւ! Ցա ամ սօպութեղցւ! Ցա մ՛շոնձլուս. միշտցեմ, դյու-
մանչատան. ցանալցուհցեցլոն! նոնաս մռմացալու ցուլս մո-
լուաց, ցոնցեաս մորոցցւ.

— რა იყო, რა მოხდა ამ სამ თვეში, რაც მე აქედგან წავლი? ჩავეკითხე დარეჯანს და აი პასუხად რა მივიღე:

ზრიგოლს თქვენ ხომ კარგად იცნობთ! ის არის კეთი-
ლი, ალალი და გულ მინდობილი ყველა ადამიანზედ. იმას
დღემდინ არ სჯეროდა, რომ კაცი გაჰყიდდა იმის მინდობი-
ლებას, თუ სიკეთისათვის სიავეს დაუბრუნებდა და თავის
გულ კეთილობით თავი დაიღუპა. შარშან პეტრე ცუცნაძეს
თავდები გაუხდა, თითქმის საპყრობილიდგან დაისხნა: ორას
თუმანზე ხელი მოუწერა.

შლის თავზე ცუცნაძე სადღაც მიიღუპა, ორასი თუმანი
თავის ჯარიმით სამასად იქცა და მარქარიან ცმა ჩვენი მამუ-
ლები სულ ააწერინა რაც-კი სულს აქეთ გვებადა, დაწყებუ-
ლი ჩვენი დიდი ხოლაბუნილებან ამ უკანსკნელ სკამამდე,
რომელზედაც ეჭდა მე ვზიგარ.

ვაჭრობა (ტორგი) დანიშნული იყო. მამულის მოვაჭ-
რენი, რასაკვირეელია, მრავალნი გამოჩნდნენ და სხვათა შორის
ტაბ—ძის მამაც.

ზრიგოლ დაუძლებურდა, დღე და ღამ დედა-კაციებით ტი-
როდა და გაჭრობის წინა დღეს ხომ კინაღამ გაგიფდა.

„როგორ“ ღრიალებდა ის საშინლად: „ჩემი მამული,
ჩემი ცხოვრება, სხვის ვალში უნდა გაიყიდოს? ის მამული,
რომელშიაც მამა-პაპის სისხლია ჩაქცეული, რომელიც ჩემის
ოფლით შემუშავებულია, უნდა სხვამ დაინარჩუნოს. მაგ, ეს
შეუძლებელია და თუ ეს მოხდება, მე ვარჩევ ჩემისავე ხან-
ჯლით ჩემს თავს ბოლო მოუღო.“

თუმცა მე ნუგეშ ვაძლევდი, ათასის გზით უადვილებ-
დი მომვალ ცხოვრებას, მაგრამ რომ მამაგონდებოდა ჩემი ნი-
ნო, ჩემი ერთად ერთი შეილი, აზიზად და ფუფუნებით აღ-
ზდილი, გული მიკვნესოდა და ენა მუცელში მიგარდებოდა.

ნინო კი სულ ჩუმად იყო, შესწყდა იმისი იადონის ხმა,
იმისი ანგელოზებრივი ღიმილი; ფერ მიხდილი, გულ-ხელ
დაკრეფილი ჩრდილოვით შედიოდ-გადიოდა.

იმ ღროს, როდესაც ჩვენს საოწარკვეთილებას სამზღვა-
რი ალარა ჰქოდა, როდესაც ჩვენმა მწუხარებამ გონების და-
კარგვამდინ მიაღწია, საცალა შეცვედროდა იპ—ე ტაბ—ე
ჩემ ნინოს. იმას საოცარის სისასტიკით აეწერა ის დღე, რო-

დესაც მამულის მყიდველი გამოგვრეკდა ჩვენ ჩვენის ჭერ-
ქეშიდგან და დიდებას შეჩვეულნი თავაღნი, როგორ
ულუქმა — პუროდ ცის ქვეშ საცოდავად დატორებო-
დით.

ნინოს გულს შემოჰყოდა, იმის დიდ სულოვანს ბუნე-
ბას ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმი-
სი საყვარელი დელ-მამის ულუქმა-პუროდ დარჩენა.

„არა, არა! ეს შეუძლებელია,“ თურმე ტუტუნებდა და
ხელებს იმტკრევდა მწუხარებით.

— და თუ თქვენ თანხმა გახდებით ჩემ ცოლობაზედ, მე
ხვალვე დაუბრუნებ თქვენს მშობლებს თავის მამულებს“ ამ
დროს თურმე ჩასჩურჩულებდა ი—ე ნინოს.

— აი, ბატონო, რითი გამოჰყლიჯა თანხმობა უბედურს
შვილს, რომელსაც გონება ეკარგებოდა დელ-მამის მომავა-
ლის უბედურის ცხოვრებით!

ამ ორი კვირის წინეთ, სწორედ ჩვენი მამულის „ტორ-
გის“ წინა ღამეს, ნინო ჩვენ დაუკითხავად წავიდა. მთახ-
ში მარტო მე და ზრიგოლი ვისხვდით, ძალზე ჩამოლამდა,
მაგრამ ჩვენი გული ისე სავსე იყო სიბნელით და შავებელო-
ბით, რომ სანთლის ანთება სულ გადაგვავიწყდა. თავს მე
ეჯვექ გულ-ხელ დაკრეუილი და ბოლოს ჩემი ქარი... ჩვენ
მწუხარებას მხოლოდ ის წარმოიდგენს, ეისაც ჩვენსავით გა-
მოუცდია, თუ რა არის მამულის დაკარგვა, თუ რა არის იქ-
დგან აყრა, სადაც ბედნიერება, სადაც მამა-პაპას უცხოვრია და
სადაც იმედი გაქვს რომ სიკედილის დღე მოგადგება.

უცებ კარი შემოგლო და ნინო შემოვიდა.

— მე რა ანბავია, რომ ბნელაში სხედხართ, დედა ჩე-
მო, მითხრა და საჩქაროდ სანთლი აანთო. მერე
მამას ხელი მოჰკიდა, ჩემთან დასვა და თითონ ნელა ჩვენ
წინ მუხლებზედ დაეშვა, თავი კალთაში ჩაგვიდო და გადა-
წყვეტით, რომელმაც ჩვენ დიდათ გაგვაკვირვა, წარმოსთქვა: —
ნუ სწუხართ, მშობლებო, თქვენ სახლიდგან ვერავინ გაგ-

რეკტ, თქვენ ხოდაბუნებს სხვები ვერ მოხვნენ. ხეალ „ვაჭ-
რობა“ აღარ მოხდება ჩვენს მამულებზედ.

მწუხარება ლხინად შეიცვალა, ბავშვებივით ახტაცებით
ეხტოდით ერთმანეროს ვყოცნიდით, ესტიროდით, და მხურ-
ვალედ ვლოცულობდით ჩვენის შესწელისთვის, მაგრამ, რო-
დესაც გამომსხველის პირობები შევიტყეთ, სევდა გაგრიათადა

— როგორ?! ჩემი მოსცენებისათვის შენ უნდა გაგყიდო,
გულზედ ხელის ცემით ამობდა ზრიგოლ, შენის გაცვლით მე
ლუკმა უნდა ვიშვენო? შენ უნდა მიქცე გლეხს დაბადებით,
გლეხს სინიდისით, ღარიბს სათნაებით და მდიდრს სხვის
უძედურებით? არა, დევ, მე შიმშილით მოვკვდე, სიბერის
დროს გლახაკობა მეწროს და ჩემს ნინოს, ჩემს ძეირფასს
საუნჯეს, ყოველ სოფლიურ საუნჯეზე ძეირფასს საუნჯეს,
ტაბ—ძეს არ მივცემ.

— მამა დამშვიდდი, არა ჩვეულებრივის სისასტიკით სოქვა
ნინომ. მე სიტყვა მივე იმ კაცს ცოლობისა და. ტყუილად
ნუ ლანძლავთ მომავალ საქმროს თქენის შეილისას, მწარის
ლიმილით გაათავა იმან.

— არა, არა ეგ შეუძლებელია, დავიკივლე მე. მოჯა-
მაგირედ დავდგები, სხვას თაქს ვანაცვალებ და შენ კი იმას
არ მივცემ.

— ტყუილად სტირით, დედა ჩემო, საქმე გათავებულია.
იმ ორ კვირაზედ ჩვენ ჯვარს ვიწერთ და იმედი მაქს მშო-
ბლის გულით დაპლოცავთ თქვენს ნინოს...

— მოდიან, მოდიან აღშფოთებულის ხბით შემოიძახა
გარედგან ზრიგოლმა და სანამ მე ყველა ნამბობს თვალწინ
წარმოვიდგენდი, ოთახში შემოვიდნენ მეფე-დედოფალი თა-
ვისის ამალით.

დედა შარბათით მიეგება. მამამ მაცხოვრის ხატით და-
ლოცა. ნათესაობამ შამპანური ღვინით ბეჭნიერება მიულო-
ცა. მეც მიველ მისალოცად, ნინოს მარმარილოსავით ცივს
ხელს ტუჩები ჩივაკარ და ჩუმად წავიდუდუნ: ნინო რას
შერებით მაგას, განა შევიძლიანთ ტვირთვა მაგ გვარის შსხვე-
რაპლის?

ნინომ ხელი მაგრა მომიჭირა, თავით ფეხებაშდე ქრიან-ტელმა გაუარა და ჩვეულის სინაზით მითხრა: არჩევანი შეუძლებელი იყო. ვეცდები შევძლო და თუ არა, შენ კარგათ იყავ... გმირულად წელში გაიმართა და საშინელის ძალა და-ტანებით სახეზედ ღიმილი გამოიწვია და „ბედნიერების“ მი-ლოცვას თითქის კმაყოფილებით ისმენდა.

* * *

„შმაო ზურაბ! მწერდა ზრიგოლ შემარაძე ერთის წლის შემდეგ, „ჩემი ნინო ავად არის. მშობლის გული ჰერმენობს, რომ ჩემ ტურფა ყვავილს უდრიოდ ზამთარმა უსწრო და ეს ვერ იტანს მის სასტიკ ყინვებს. ზუშინ იმან მითხრა მო-რცხობით: „მისწერე ზურაბს, რომ ნინომ თავის პირმშოს მონათვლა გთხოვათქმა“. იმედი მაქვს უარს არ იტყვით და მალე გნახავთ ჩვენ სასიამოვნო საყვარელ სვინად.

მესამე დღეს საშინელის გულის ჩქროლებით მიუხსლოვ-და ტაბ—ძის ბინას. ეს იყო კარგათ გაგძელებული ერთ სა-რთულიანი ქვიტკირის შენობა. მთელს სიგძეზედ ჩავლებული ჰქონდა განიერი აივანი სადაც ეხლა დიდი შესვლა-გასვლა და სამზადისი იყო.

ქარებში გამოშევება ნინოს დედამთილი. ეს იყო რაღაც უზარ-მაზარი, გემივით ფართო და მატყლის ზარდანასავით რბილი, შავებით მოსილი დედა-კაცი.

„მობძანდი, ბატონო, ნათლიავ, მობძანდით. ქეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენ სახლში და შემდეგ წუწუნით დაუმა-ტა: ნინო კარგად ვერ არის! საცოდავი ჩემი ზანო, საშინლად შესტადა, რომ ამისთანა ულონო, სუსტი ქმნილება აირჩია ცოლად. რომ იცოდეთ რა ქალებს აძლევდნენ, რა მზითვი-ანებს! ღვერთმა კი დაიფაროს და რომ მოუკედეს, რაღა ეშ-ველება, ხომ მოგეხსენებათ საქმე, მეორეს ხომ ვეღარ შე-იჩავს.

— რას ბძანებთ მაგას, ზიზილით მიუგე შე. ზანა ნინოს დაკარგვა ისე ადვილაა ქმრისათვის, რომ თქვენ კილეც ფიქ-

რობთ მეორე ცოლზედ? ზანა ვისაც ერთხელ ცოლად ხვე-
დრია ნინოსთანა, ის კიდე იცოლებს ვისმე?

...იმეოდნენ ერთი ერმანეთში ჩემ აღშფოთებულ გო-
ნებაში, როდესაც მარტო დავრჩი სასტუმრო ოთახში. ბო-
ლოს შემიყვანეს ნინოს ოთახში და იქ სუსელაფერს ფერი
ეცვალა ჩემ თვალში: მე ეხედავდი მხოლოდ ნინოს, „დამჭერა-
ჟავილს გაზაფხულისას,“ როგორც მწერდა ზრიგოლ თავის
მოკლე წერილში.

რა იყო ნინო ამ გაზაფხულს, როდესაც მე ის პირვე-
ლად ენახე და-რა იყო ეხლა? — სურნელოვანი ვარდის კო-
კორი, მოცინარის ელვარებით, სიციცხლის ფიალისაერთ სავ-
სე სიტყბოებით, ნათელი სხივებით შემოსილი, როგორც
თვით ბედნიერება მაშინ, და უდროოდ ზამთრის სუსნით და-
ჭერარი ის ყვავილი-ეხლა. მარტოდ მარტო ნაღვლინი გძელს
წამწამებში გახვეული წაბლის ფერი თვალებიდა მეჩვენა ძველ
ნაცნობად; იმათ შემომცინეს ძველის მშვენიერებით და გუ-
ლი ამიგეს მწუხარებით და თვალი მდუღარებით. ნინო ბა-
ლიშვედ იყო მიყრდნობილი, ლამაზ ხუჭუჭ თმებზედ მცირე-
ოდნად ჰქონდა თეთრი სპეტაკი ბალდადი წამოხურული. ტანთ
ეცვა თეთრი სპეტაკი-ვე ტანთ-საცმელი. იმან მეგობრულად
გამომიწვდინა ყვითელი სანთელივით ჩამოსხმული პაწაწინა
ხელები და ამ ხელებზედ ცხადად ამოვიკითხე მათი პატრი-
ნის ერთი წლის მწუხარება და შედეგი ამ მწუხარებისა — სას-
ტიკი სიჭრეების ბეჭედი.

— ნინო, თქვენ აგრე რად გამხდარხართ? ზანა „პირმშო“
საჭმარისად არ გაბედნიერებთ?

— უჰ, დიდათ, ჩემო ბატონო, მაგრამ ეხლა გვიანდაა,
ბედნიერება ვეღარ გამოთელებს იმ იარას, რომელმაც ერთი
წლის განმამავლობაში გაანადგურა ჩემი არსება და ჩაქრო
ჩემი ოცნების ალები...

მე ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდი კეთილი მეუღლე,
ტქბილი დედა ჩემის შვილებისა და ჩემს გაბედულობას ამითი
ვანუგეშებდი. მაგრამ ნამდვილი ჩემის ახალი ცხოვრებისა მე-
ტად სასტიკი გამოდგა ჩემს სუსტს ცხოვრებასთან საბრძოლვე-

ლად მოუმზადებელ ბუნებასთან. ოქვენი სიტყვები ასრულ-
დნენ: ტვირთი ფრიად მძიმე იყო და მე ვერ ვწიდე.

მე ღრმად ჩაფიქრებული დაცუქეროდი ნინოს ხელებს,
როდესაც ივანე შემოვიდა ნინოს ოთახში....

— მო... ბატონი ზურაბ, დაიღრიალა იმან თავისის
ახოვანის ხმით და დაარღვია ის ღრმა მდუმარება, რომლითაც
სავსე იყო ჩემი და ნინოს მწუხარება.— დიდათ გმადლობთ,
დიდათ, რომ მიიღეთ ნინოს თხოვნა და ამ სიშორეზედ ინე-
ბეთ ჩეენთან მობძანება. მშვენიერი ბიჭია თქვენი მომავა-
ლი ნათლული, მშვენიერი; მე და ჩემა ღმერთმა, არ დაი-
ჯერებთ, რომ ამ გალეული დედაკაცის ნაშობია, ი დალო-
ცვილი ისა; და ამ სიტყვებზე ნინოს ყბაში ხელი ამოსდო
და კოცნა დაუპირა....

— იქით... საშინელის ზიზღით შეჰყეირა ნინომ და თა-
თქოს გონ მიხდილი გადავარდა ბალიშეზედ

მე ფეხზედ წამოვხტი... სარკმლის ცივ მინას შუბლი
მივაყუდე.

სტუმრები შეგროვდნენ. სამი ოთახი მთლად სახსე იყო
ქალით და კაცით. ღუდუკი ღუდუნებდა, დაირა გრიალებდა.
ცეკვა, სიმღერა გაჩაღებული იყო. ბავშვის მამა მეთაურობდა
სუყიველგან. ამის ცეკვა, ამის სიმღერა, ამას ტოლუმბაშობა
აკვირებდა და ახტაცებაში მოჟყედა მოწვეულები.

— აფერუმ, აფერუმ, კიუინით გაჰყიოდნენ დამთვრალი
სტუმრები. აბა შენისთან მასპინძელი უნდა!

... ისკი... თვალებ-გაწითლებული ივანე ხტოდა, ბუქნაობდა
და თან საერთო კიუინას თავის ბოხის ხმით ბანს აძლევდა.

ე. გაბაშვილისა.

ს ი ს ა ჭ უ ლ ე.

წევული იქავ სისაწელევ!
სულ ამოვარდი ძირითა!
ჩვენთვის გამვირდა ნუგეში,
სიმღერის ნაცვლად ვსტირითა.

უწეალოდ კშრომობთ დღე და ღამ
ვიდრე მოგვივა მილია,
მილში ისვენებს ხელ ფეხი
მუდამ ტუავ გადახდილია.

ვიდვიძებთ საქმეს ხელს ვავლებთ,
მუშისთვის შრომა ტკბილია,
ვახსენებთ მამა უფალსა
არ იყვარიდოს ზირია!

1881 6.

०५

ტემპი დაბარვის.

፩፭፻፭፻፭፻ 1. (*)

ჩემო ოცნებილე! გაიხსენე სიტყვანი ჰერიქსანი, რომელი იტ-
კის: დედა-ჩემო, სელდები მეც ძალას მიუვარან, ძაღლი ძარილში
იმათ კარგი გამოყვანა უნდათ. შენ ისრე ხარ გატაცებული
დრამულისა და სცენურის ხელოვნებითა, რომ თღონდ სცენა და
დრამა ერქას, უკედა მოგიყვანს აღტაცებაში და გაგვირს, რომ
მეც შენსაკით არ კარ ცხარეთ გატაცებული ამ ხელოვნებითა,
გიყვირს რატომ აღტაცებით არ კვითხულობ აკაპის „გინტოს“,
დაფიქლის „პარიგმასერისასას“, გლუხვარის „გეო“, მინას და
გამპინისას,“ ძახა ცაცლებულებას;“ „შეკვენაურს ელექტრს,“

* წერილის პეტიონი ცნობილია ქართველ ლიტერატურაში. ყოველ ამის წერილი დაისტავდება შეუძლებელად და უკანონობლად. რედ.

„მწვანე კუნძულს,“ „მგალიბელ ფრინვლებს,“ „მაზებს,“ უმიერ-
შეიღის „მისახს“ და სხვა ამისთანებს. იმის მაგირათ, რომ
იდგე შორის თვეების მცემთა, უკურვილთა იარღითა ჩართ-
ისათა, და ჟირებიდე უხამარ სიტყვებთ და საკუთარს კალაშირ-
ში გამოყვანილი ჭრებით მათ, ვინც არ მოდიან შენებრ აღტრე-
ბაში ყოვლითა მით, რომლითაც დასტებების და განცხრების ბუ-
ნება შენი, — აღმართო ნაწილთენი გრძელი და დაუწევ ბეჭდით
მოვაცება შეცდომასა მათ წარმართოსა, — მაშინ ას მიიღებდი პალ-
სესს საფუძვლიანსა და ას უსაფუძვლობა მათი იქნებოდა საჭარ-
ხოდ დამტკიცებულ და სწავლა შენი ჭრული სასიათის მაგირ,
მიიღებდა სასიათსა საფუძვლიანს სწავლიასა.

დადგრან შენ ეგ არა ქვენ და აღბეგსარ ისევ გუასა მეტორე-
თასა და ჰირიქით თვითო ურთავ სელსა შენსა „მას ერთ-
სა ხელოვნებასა,“ ოღმელსა „ჩვევანი გერ მისვლებას“ და უგუ-
ნურთათვის არიან სათავეანო და სახელმძღვანელო, ამის გამო ისევ
მეტ დაგოწეობ ბეჭდვით მასლაათს.

ხომ იცი, ჩემთ თეოფილე, რომ მე ქსნდანდედი ენა, ენა და-
ქურ-ბიუროვანატელი კერ შეკვესწავლე. ამისგამო, არც გაცი დაპა-
რაკი კილოკაბად. მე რომ მკითხო, არც საკადოსია ებ ენა. რაც
სათქმელია, უნდა თოქვას ცხადათ, რომ იცოდეს მკითხველმა, რა-
საც ელაპარაკება მწერალი. ის ენა, რომელიც ეხლდ თქვენ შეგიძ-
ნიათ, რომ უურს საითექნაც გინდათ გამოაბამო, ის ენა არის
ბაიცუში, გონიერია და ზნეობის დამბნევი. ამისგამო, მე შირდა-
შირ კამბობ, რომ ის ხელოვნება დრამისა და სცენისა, რომელსაც
დასდგომიან ჩვენი ავტორის და, მთის მარტივებით, ჩვენი სცე-
ნაც, არის ზნეობის გამყრულებილი. მე ის მიმაჩნდა ჩვენი გონიერისა-
ც სწავლათა ანანისათა. წარმოიდგინე, თეოფილე, რომ
მე, ყაზაზ გეებს შეგიცდი, თუ ქარგალი, მთელი დღე, და-
ღის შვილი საათიდამ დაწყობილი საღამოს შვილ სამთამდის
გადგივარ თავს გაბმულს ქსელს, გამაქვს და გამომაქს ჩემი მოუ-
ლალავი და უცეკველი მაქა. თავს მადგრა გეო და იმისა შვილი
არტყა და ამის მეტი არა ისმის რა: ჩაჭიეტე მაგრა, გაუგდე მა-
ქო... გამოდისათ უშემ დღით, შედისარ სალხში, რომ ებება და-
ვისკენო, ერთი ქრისტიანული სიტუაცია გაუიგონოვთ. ერევი ხალი-

ში და გესმის: ეს, დაუჭია რაღა ქესატობამ შვეულა, მუშაც რი
ძექებრითაც აღარ მოიხვება — თუმცა კი მუშტარი უკელას ბუზი-
კით თავის ახვევია. — ან კიდევ გესმის: არეთინამ თავისი ცხოვრე-
ბა ცოლს გადასცა, რომ მოვალეებს არ გაუსწორდეს; მივირტუმ
ისაკიმა ფულის მოსაჭრელი მაშინა გამოაპარა ცამოუნის; სო-
ლომან ზასარიჩის სუთი თუმნის მამულში. ათას თუმან მოგება
ქვე... ვერცარა სლედუატელმა გაუგო, ვერცა რა შოლიციამ. და
ათასი ამისთანაები. გამიგია ცხოხებული მესსიდამაც და მორცემუ-
ლი ჰავეავაძისაგანაც, რომ თეატრი ჰქიასა და ზნეობის საზო-
დოა. ჰუიქრობი: წავიდე ერთი თეატრში იქ მაიც დაგვანახონ.
ჩვენი ცხოვრების საზიზღოობა, გვაჩვენას გონებისა და ზნეობის
გამომავისიზღებული და აღმზრდელი მსატრობანი და მოქმედებანი.
შედითარ სცენაზედ. რას ჸსედავ! ერთ ვიღაცის ჩაუგდია ღამძიი
ქალი სელში და რა სჯგვლემავს, რომ ღმერთმა შეაცხვინოს ჩვე-
ნი ღაზარ შეტროვიჩი, როცა ცენიჭეას ჩაიგდებს ხოლმე სელში.
ი ქალიც ერთი ისრეთი სით-ხითებს, ერთი ისრეთი უსარიან, ერ-
თი ისრეთი ესუნტრუცება, რომ ღმერთმა შეაცხვინოს ჩვენა ჸვ-
ლაბრელი სარუნვა... გნახოთ, სიმღერაც არის, გნახოთ — ლეკურირა!..
ჸუიქრობი: ეს უკელა კარგი! მაგრამ... ამას ხოდა... სხვაგანაც გნა-
სავ; გა! ეს არის ჰქიას საქმე?! ეს არის დაცულმული ზნეობისა და
ჩვეულობაების აღმდეგნი საქმე?!.. არა, ღამძიი ქალის კოცნა იქ-
ნება არ იუკეს უზნეო, მაგრამ განა მაგასაც სწავლა და ჩვენება
უნდა?! ეგები... ჩვენ თქვენზედ ნაკლებათ ვიცით? იცი, ეგ რო-
მელ ზნეობასა შევლის? მაგის უკან, როგორც განსვენებულმა შლა-
ტონ იასელიანმა ბრძანა, უნდა მაშინვე კიბეს გაიკა სელი, ჩაი-
დო სამ მანათიანია გზილებში და გასწიო... გუგიისგენ. განა ეს
არის ზნეობა?! ეს არის ჰქიას?! ეს არის მიზანი დამული სე-
ლონობისა და სცენისა?

როგორა გრინია, თეოფილევან! კუელას ეს ყაზახ ბეჭუნიშვილი
შეგირდის მოსაზრებანი საუკრადღებონ არიან თუ არა?.. სხვას
რომ კუელას თავი დავანებოთ, განა ჩგენი დრო და თვალები და-
საფასებელი არ არიან?.. გატუდა შენ სულს ჰქეშ და სოჭევი სწო-
რეთა, სენი სპერმილორეისა, რომელიც შენ დაგმართვია, ბერში
სცენისა და შენი მოწონებული დრამებისა და შენიგა ნაწერების ბრა-
ლი არ არის? განა ეგ სენი სახეირო ან შენთვის ან გაცობრიბი-
სოვის?! გარწმუნებ, რომ მედიცინა კაი მეცნიერებაა, და გირჩევ
იქაც ჩაიხედო ხოლმე სშირად, მაშინ იქნება ჩააფიქროდე რაოდე-
ნათ სასარგებლოა ის სელონება, რომელსაც შენ ასრუ გატაცებით
უვრცელ გუნდოუესა... განა მართლა არ არის ტემები დრამისა და
სცენისათვის ჩექნს ცსოვერებაში, რომელსაც ნანდვილად ემსახურ-
ბოდეს ჭკუისა და სნეობის წარმატებას?...
ასა კნისოთ...

განლეგილი.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଏ ବିଦ୍ୟାଚୂର୍ଣ୍ଣାୟିତା

(၂၀၁၃၊ ၁၂ ၁၇)

„მეფესა ეთქვა ამისი დიალი მაღრიელობა.“

„ ებრა არა გჭირს შენ თომა გამდრეკელო-
ბა. „ლომო, არა გჭირს შენ თომა გამდრეკელო-
ბა.“ ამის მაგიურ უნდა იყოს:

მბრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამრეკელობა.“

ამ პირსევე დაუტევებია ის აზრი, რომ ამ მოხსე-
ნებათა გარდა რუსთველის ცხოვრება თვით „ვეფხვის ტყაო-
სანშივე“ აწერილი და ეს თვით ამ წიგნითვანვე აიხსნებათ.
ჩევნ ვშინჯეთ „ვეფხვის ტყაოსანი“, ვშინჯავთ ქილევაც, და
თუ საღმე რამე აღმოჩნდა და გავაჩრეავთ, უალკე აღ-
ენიშნავთ და მალეც გამოვაქვეყნებთ. ამის შესამოწმებ-
ლად ისიც არის, რომ გამრეკელთა გვარი ძველადვე ახალ-
ციხის მახლობლად სახლებულან და ესენი ერთ დროს ამ
მხრის მთავრიადა და გამგედაც ყოფილან. ამის დასატეკიცა-

ბელი ცნობები თვით განუშტის და განტანგის ისტორიულს
ქრონიკებშიც-კი მოიძებნება.

ეს ცნობა შხოლოდ შიტომ მოვიყვანე რომ იგი დღევანდ-
ლამდის არსებობს, თორემ რაც შეეხება ამის სინამდვილეს, ეს კი
საეჭვოდ მიმჩნდა მე და ამ მოსაზრებას პირდაპირ არქიმანდ-
რიტს ვაჯუთენებ. ამ გვარი მოსაზრება და მოგონება ამ არ-
ქიმანდრიტს თვის გვარ ტომობის სიყვარულასგან მოსელია.
არის კიდევ ერთნაირი შესამოწმებელი მხარე, რომელიც
დაახლოებით უკავშირდება გამალიელის ცნობებსა და ამი-
ტომ ზემოხსენებული უკანასკნელი ცნობების შესამოწმებ-
ლად ესეც მოგვყავს აქვე.

ვეფხვის-ტყაოსანში მოხსენებული „ავთანდილი იყო
სპასპეტი ეგ ამირ სპასალარისა“ თუ იგავ-სიტყვაობით ავ-
ხსნით და ამაში მოხსენებულ ამირ სპასალარს რუსთველის
მამად ვიგულისხმებთ, მაშიე უნდა ესეც ვსთქვათ, რომ თა-
მარ მეფის ისტორიაში მოხსენებულია გამოჩენილი ამირ
სპასალარი ზამრეკელი, მაშასადამე ეს ზამრეკელი უნდა იყოს
რუსთველის მამა. მაშ ამის მეოხებით აღვილად შეიძლება,
რომ ეს გვარი დაახლოებით შეუმოწმდეს რუსთველის გვარს
რაღვანაც „ვეფხვის-ტყაოსანშიც“ ზამრეკელად არის აწერილი
რუსთველით, ანუ „ზამდრეკელადაო.“

მეორე ნაირი ცნობა კიდევ.

მეორამეტე საუკინის მოგზაური, ტიმოთე ქართლი,
მთავარ-ეპისკოპოსი სწერს, რომ შოთა რუსთველი თამარ
მეფის მეჭურჭლეთ - უხუცესი იყოვთ ¹⁾. ამ ვპისკოპოსის
ცნობის თანხმადვე მოგვითხრობს თეიმურაზ ბატონიშვილი ²⁾.
ამასევ აღიარებენ ბროსე, ჩუბინაშვილი და სხვანიც მრავალნი.
ამ ცნობებს მღ. ჯანაშვილი-კი ეწინააღმდეგება და სწერს,
რომ შოთა თამარ მეფის სპასპეტად იყოვთ და შოთას მამა-

¹⁾ ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსის გამოცემა 1852 წ. ქ. ცეკვილისი.

²⁾ საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა. გამოცემა 1848 წ. პეტერბურ.



ამირ სპასალარიო. ჭანაშეილს ეს მოსაზრება „ვეფხტის-ტურულის ერთი სტრიქონითგან გამოჰყავს, სადაც მოხსენებულია, რომ:

„ავთანდილ იყო სპასეტი ე ამირ სპასალარისა.“

ამ სტრიქონს იგაფ-სიტყვაობის მნიშვნელობას აძლევენ. ამის სინამდვილეზე მე ვერას ვიტყვი და ის კი უნდა ესთქვა, რომ ამ ცნობაზე უფრო სარწმუნო და ჭრილი ზე მოყვანილი ცნობები უნდა იყვნენ. ამის გამო ჩენ მივმართეთ იმ საშუალებას, რომ გვეპოვნა, თუ თამარ მეფის დროს ვინ იყვნენ მეჭურჭლეთ-უხუცესად. ჩენ ვიპოვნეთ შემდეგი მოხსენება: „მეჭურჭლეთ-უხუცესი ძახა-ბერ ვარდანის-ძე.“ მს მოხსენებულია მახუშტის გეოგრაფიაში, მართლის-ცხოვრებაში და სხვა-და-სხვა ისტორიულ წიგნებში. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ვარდანის-ძე თამარის პირველ მეფობის დროსვე მოგზაურობდა. მს ჰქანას „მართლის ცხოვრებიდან“, სადაც ამ გვარს დიდი აღგილი უკავია. ამ ვარდანის-ძის შემდეგ ჩენ სხვა მეჭურჭლეთ-უხუცესს ვეღარა ვხედავთ. მაშასადამე ზემოხსენებულ მესტორიეთ ცნობების ჩვენებით თამარის მეფობაში მოხსენებული მეჭურჭლეთ-უხუცესი ძახა-ბერი ვარდანის-ძე შოთა რუსთაველი უნდა იყოს. მაგრამ ამაზე ჩენ ხელს არა ვდებთ და არას ვამტკიცებთ, რადგანაც ვარდანიძეს შესახებ სულ სხვა ცნობები გვაქვს, და ჩენ ეს პირი სულ სხვა წინააღმდეგ პირად მიგვაჩნია.

რუსთველის გვარისა და სახელის შესახებ უფრო ჩენს პირველ ცნობებს ესთვლით ღირსეულადა, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ მაგრამ რაკი ერთხელ და სამუდამოდ ქართველ ხალხს თავიანთ ნებისმებრ თავიანთ გონების წარმომადგენელი საყვარელი პოეტისთვის შოთა რუსთველი უწოდებიათ, ამიტომ მეც ამასვე ვხმარობ და დღეს აშოთან ართავაჩის-ძეს შოთა რუსთველს ვუწოდებ. იმდინარებით, რომ ეს წერილი და მოსაზრებანი მრავალთათვის იქნება სასიამოვნო და თუ ჩემგან მოხსენებულს აშოთან ართავაჩის-ძეს სხვა-ნაირად წარმოიდგნენ, მაშინ რუსთველის შესახებ ჩენ ისევ

ის მასალებით დაგვრჩებიან ხელში, რაც აქამდის გვეჭირა და რაც აქამდის ვიცოდით ამ საყურად-დებო და გამოჩენილის პი- რის კონკრეტის და მწიფნობრობის შესახებ.

პირველ წერილში გაკერით შევეხე იმ საგანს, თუ როგორ სდევნიდენ „მეფე ვის-ტყაოსანს“ ჩვენი ქართველნი ბეჭნი და მამანი. ამ საგნის დასამტკიცებლად და დასაჭიროი ტებლად, ამ მოკლე ხანში აღმოჩნდა რამდენიმე ცნობა, რომლიდგანაც მომყავს აქ შემდეგი:

ძველად, ჩვენ წმინდა ბერ-მამებს დაუწერიათ „ვეფხვის-ტყაოსნის“ გაგრძელება ლექსად, სწორედ იმ ლექსის ზომით, იმ კილოთი და ხელოვნებით, როგორც „ვეფხვის-ტყაოსანია“ დაწერილი. დამატების დაწერის ჩვენი წმინდა მამები თვით შოთასვე მიაწერენ და ამბობენ რომ, როცა შოთა რუს-თაველი მონასტერში შევიდა და თავისი წინანდელი არ-შიყული ცხოვრება შეინანა, მაშინ თავის „ვეფხვის-ტყაო-სნის“ შესახებ დაწერა ესაო. ამ აღწერაში „ვეფხვის-ტყაო-სნის“ გმირები დაბერებული არიან; სახეები დაღმეჭვით, ღჯოლები გამოსხენიათ და ყოველ ნაირი გულის მიტაცი მშევნებაც დაჰკარგვიათ, ყველა მათგანი დიდად სწუხს იმის-თვის, რომ მათ მთელი თავიანთ ცხოვრება არ შიყობითა და მიჯნურობით გაუტარებიათ. სიბერეში კი ესენი შეს-დეომიან სულის საქმეს და ყველა ამათგანი მუდამ ეკალე-სიაში დადიან, სულ საღმოო საქმეზე ლაპარაკობენ, ხშირად აგონდებათ შრისტი, წმინდა ბერები, ნათელი სამოთხე, ანგელოზები, ჯოჯოხეთი და ეშმაკები: ამ ოცნე-ბით თითქმის ყოველ მომქმედს პირს მოწამლული და მოხიბლუ-ლი ჰქონდა გონება: აქ ყოველი პირის მისწრაფება და ძალა ზეციური ქვეყნის ცხოვრებაზე იყო მიქცეული და მხოლოდ ის ჰქონდათ სანატრელი, რომ სიკედილის შემდეგ სამოთხე ლირსებოდათ.

ს ი მ ღ ე რ ა

გულო, რას დაჭრონებულხარ,
 რას იბურები ნისლითა?
 განა სულ ესრე ვიქებით
 დაკრუნჩხვილები ეინვითა!
 ჩქარა ზაფხული მოალის,
 აურვდებიან იანი,
 გაიძანება წვიმითა
 მთა და მინდორი მტვრიანი,
 საფლავის ქვაზედ მოჯდება
 ოვოფა სავარცხლიანი.
 წერონიც გადმოჩნდებიან,
 დაძამშვენებნი ცისანი:
 გუგულად მერცსალიც მოვლენ —
 ფრინველნი შორის-გზისანი.
 დასაღნობია დაღნება
 მთას თოვლი; სევმი ზვანვია.
 გაძაიმტვრევა არაგვი
 გაზაფხულობით ძავია,
 მუქარით ანგრევს მიდამოს
 გაბეზრებული, ავია.
 მტკვარსაც ჩასძახებს მრისსანედ:
 შენაც გაძალე მკლავია.
 ცაც სომ სძას მასცემს მაღლითა

მიწის სიცოცხლით ფუილსა,
მოსქედება წვიმა სშირიდა,
დაბლა მააღებს შეუილსა;
ზედ დაეხვევა ელვაცა
შავის ღრუბლების ხუილსა.
გულო, ჩვენც სიცოცხლეს ვა
ლადს მოვისურვებთ ძლირასა
ჩვენც შეუფერებთ კიუინით
ეოვლგნივ ბუნების ლხენასა.
იმედი ბევრად სჯობია,
უზრო ბედის წერასა!!

ვაჭა-თშაველა.

፭፻፲፻

„ზმა“ ჰქვიან იმ გეარ სიტყვას, რომელიც მუსაიფში, არი ფრაზითან გამოიქანდაკება და შესძეგება: პირველი ფრაზის ბოლოს მარცვლებიდგან და მეორე ფრაზის პირველი მარცვლებიდგან—შეერთებულად, მაგალითებრ, აეიღოთ სიტყვა: „მამა“. ამის ზმა შეიძლება ასე გამოიხატოს: ამა მას შენი სიკითხე.

ან ავილოთ სიტყვა: „დედა“ ამისი ზრაც ასე მოხერ-
ხდება: ადვ დაუკარ თავი მშობელს.

ზოგჯერ ზმა გამოიხატება ერთს ფრაზაშიაც და ხან-
დის-ხან — სამშიაც. მაგალითად ავიღოთ სიტყვების: ზმა,
ნაცარი, ლიმონი, მარილი.

ამათი გამომხატველი ზმები ასეც შეიძლება:

ბაზმა^მდაანთე

იმანაც^მარ^მიცოდა.

ქალი^მონით მოდიოდა.

თამარი^მლიმონსა სჭრიდა.

მე არაფვრი მოზმე გახლავართ, მაგრამ ეს კი ვიცა
რომ, უწინდელ დროში ზმობას, სიტყვა-წყლიანობას, დიდი
პატივი ედვა და კარგი მოზმები, შებაასებულნი საზოგადოე-
ბაში, მოსწრებულად გამოაპარებდნენ ერთი მეორეს, ზმას
და ამით გამოიწვევდნენ მსმენელთ სიცილს და კიქინს. მა-
შინ გამარჯვებული დიდად ამაყობდა ენამჭერობით, მოს-
წრებულის ზმების თქმით.

ზოგიერთმა ძველ-დროში ნათქვამშა ზეებმა ჩეენამდინაც
მოახწია.

აი ზეები, ამოწერილი ჩემგნით ერთის ძველის ხელთ
ნაწერითვან:

„მე ფეხთ განბანილთა მიმრ ეძლესია ვადიდო.“

„მე ფეხსო შეგვერ სამოს, იესო ლომო ნივთობით
იუდით მცენო.“

„ლოთისა მშობელმან წიაღით მჟარნა ვაზ კეთილთა
რტოდ მეც შემიწყნარნა.“

„საღმური ელიასი მიყვარს, მისი ხმა მიამების.“

დაღიან იგრიგვლივ ვარსკვლავნი ცისა, რა კი რომ
მიღრება ცისლი მზისა.“

„დედათა მარილი ვარ.“

ამ გვარი ვარჯიშობა ზმებში მწერლებსა და ბატონის-
შეილებშიაც ყოფილა. აი კიდენ ზეები, ნათქვამი ლექსად,
ყუმარზედ, მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფაზედ, ჭანდ-
რაკზედ და ნარდზედ.

I. განჯაფა *).

„ამისგან ჯაფას ბევრს ენახავ, ვინ მზესა დაედარების,
ალალთა ფიცას არ ჰსჯერა, მას სხვა რა მოეგვარების,

*). განჯაფა — თამაშობა ყოფილა ჭალადდისა; ეს სათხმაშო

ამაზი ზილიხანის-თვის, უწყენს ვინც მოეხმარების,
აბა რათ იწყენს ხუმრობას, თუ მე კი არ მემტერებია?..
